

შპს ბანი 13

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2019 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

ბანი 13 შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში. კომპანიის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ძირითადი ადგილი არის თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ს. ცინცაძის ქ. 67ა, ბ. 19.

მისი ძირითადი საქმიანობებია ბენზინისა და ბუნებრივი აირის რეალიზაცია, იჯარით ფართის გაცემა, სავაჭრო ნიშნის ფრენჩაიზინგი და სერვისცენტრით მომსახურება.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული *მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის* შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულებში (ლარი).

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდამობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

გადასახდელი მოგების გადასახადი ეფუძნება მიმდინარე პერიოდში მოგებით დასაბეგრ ოპერაციებს და მოგების გადასახადის გადახდა ხდება ყოველთვიურად.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

შენობა-ნაგებობები

4-8 პროცენტი

მანქანა-დანადგარები და მოწყობილობა

8-20 პროცენტი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალურ აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, ასევე შეწრწყმის შედეგად წარმოქმნილ გუდვილს და სასაქონლო ნიშანს რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება შემცირებადი ნაშთის მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში 15% იანი განაკვეთით. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო

გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში – პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან

ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯვაში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

3. დივიდენდების გადახდის შეზღუდვა

ბანკის სესხებისა და ბანკის ოვერდრაფტების ხელშეკრულებების პირობების მიხედვით დაუშვებელია ისეთი ოდენობის დივიდენდების გადახდა, რაც გაუნაწილებელი მოგების ნაშთს შეამცირებს ბანკის სესხისა და ბანკის ოვერდრაფტის გადასახდელი ნაშთების ჯამზე ნაკლებ სიდიდემდე.

4. ამონაგები

	2019	2018
საქონლის გაყიდვა	8958548	9767740
რეალიზაცია კომპენსაციის გარეშე	19680	24883
სერვისცენტრისა და სხვა მომსახურება	15830	3874
იჯარა	33117	38055
სავაჭრო ნიშნის ფრენჩაიზინგი	1017	1017
	<u>9,028,192</u>	<u>9,835,571</u>

5. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი მოიცავს ეკოქარდიდან მიღებულ შემოსავალს 130532.34 ლარის, საკურსო სხვაობიდან მიღებულ შემოსავალს 42449.50 ლარის ოდენობით.

6. ფინანსური დანახარჯები

	2019	2018
ბანკის სესხის პროცენტი	<u>(164882)</u>	<u>(291761)</u>
	<u>(164882)</u>	<u>(291761)</u>

7. საბიუჯეტო გადასახადები

	2019	2018
გადასახადები	88054	60573

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2019	2018
სავაჭრო დებიტორები	595779.14	376511.18
	<u>595779.14</u>	<u>376511.18</u>

9. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები -

	2019	2018
საქონელი	91187.45	47147
ნედლეული და მასალა	15043.42	5591.23
	<u>106230.87</u>	<u>52739.23</u>

10. ძირითადი საშუალებები

	მიწა და შენობა- ნაგებობ ები	მანქანა- დანადგარ ები და მოწყობილ ობა	ბიოლოგ ირი აქტივები	სულ
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
თვითღირებულება				
1 იანვარი, 2019 წ.	2043158	3134359	82493	5260010
შემოსვლა	1500	196404	()	197904
გასვლა	(14172)	()	()	(14172)
31 დეკემბერი, 2019 წ.	2030486	3330763	82493	5443742
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება				
1 იანვარი, 2019 წ.	400203	1393525	8718	1802446
წლიური ცვეთა	182716	387556	()	570272
გაუფასურება	()	()	()	()
გამოკლებული გასული აქტივის დაგროვილი ცვეთა	()	()	()	()
31 დეკემბერი, 2019 წ.	582919	1781081	8718	2372718
საბალანსო ღირებულება				
31 დეკემბერი, 2018 წ.	1447567	1535510	73775	3071024

11. არამატერიალური აქტივები

	გუდვილი	სასაქონლო ნიშანი	კომპიუტერული პროგრამები	სულ
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
თვითღირებულება				
1 იანვარი, 2019 წ.	2910284	207	6762	2917253
შემოსვლა	()	()	()	()
გასვლა	()	()	()	()
31 დეკემბერი, 2019 წ.	2910284	207	6762	2917253
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება				
1 იანვარი, 2019 წ.	966966	134	4907	972006
წლიური ცვეთა	279132	()	()	279132
გაუფასურება	()	()	()	()
გამოკლებული გასული აქტივის დაგროვილი ცვეთა	()	()	()	()
31 დეკემბერი, 2019 წ.	1246098	134	4907	1251138
საბალანსო ღირებულება				
31 დეკემბერი, 2019 წ.	1664186	73	1855	1666115

12. ბანკის სესხი

	2019 ლარი	2018 ლარი
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	<u>850652</u>	<u>2347113</u>
	<u>850652</u>	<u>2347113</u>

ბანკის სესხი უზრუნველყოფილია კომპანიის საკუთრებაში არსებული მიწისა და შენობა-ნაგებობების ცვალებადი გირაოთი, რომლის საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრისათვის შეადგენს 1447026 ლარს.

13. სავაჭრო ვალდებულებები

2019 წლის 31 დეკემბრისთვის სავაჭრო ვალდებულებები მოიცავს 954889 ლარი, რომელიც გამოსახულია ეროვნულ ვალუტებში (2018 წლის 31 დეკემბრისთვის 553411-ის ტოლი იყო).

14. ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები

ჯგუფს ჩვეულებრივი იჯარით აღებული აქვს ქონება. ამ იჯარების საშუალო ვადა სამი წელია და ამავე ვადაში გათვალისწინებულია ფიქსირებული საიჯარო გადასახდელების გადახდა.

	2019 ლარი	2018 ლარი
ჩვეულებრივი იჯარით გათვალისწინებული მინიმალური საიჯარო გადასახდელები, რომლებიც მიმდინარე წელს აღიარებულია ხარჯად	53695	6667.14

15. კაპიტალი

2019 წლის 31 დეკემბრისთვის საკუთარი კაპიტალის ნაშთი შეადგენს 4947737 ლარს.

16. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2019	2018
ფულადი სახსრები სალაროში	3703	28991
ფული საბანკო ანგარიშებზე და მისი ექვივალენტები	92977	54309
	96680	83300

17. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორთა საბჭომ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი
გამოცემის ნებართვა გასცა 2020 წლის 30 სექტემბერს.

დირექტორი: ვლადიმერ პატარიძე

ხელმოწერა:



შპს ბანი 13

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საანგარიშგებო ვალუტა: ლარი

აქტივები	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2018	01.01.2018
მიმდინარე აქტივები		827175	534546	519578
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	16	96681	83301	211767
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	595779	376511	242769
გაცემული ავანსები		0	0	0
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	9	106231	52739	46986
სხვა მიმდინარე აქტივები		28484	21995	18056
გრძელვადიანი გაქტივები		6020584	5141004	5594142
ძირითადი საშუალებები	10	3071024	3457565	3631571
არამატერიალური აქტივები	11	2932235	1666115	1945247
გრძელვადიანი მოთხოვნები		17325	17325	17325
სულ აქტივები		6847758	5675550	6113720
ვალდებულებები	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2018	01.01.2018
მიმდინარე ვალდებულებები		1049369	634090	651559
მოკლევადიანი ვალდებულებები	13	954889	569468	578704
საგადასახადო ვალდებულებები	7	88054	60573	68806
დარიცხული ვალდებულებები		0	4049	4049
სხვა მოკლევადიანი ვალდებულება		6426	0	0
გრძელვადიანი ვალდებულებები		850652	2347113	4946541
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	12	850652	2347113	4946541
საკუთარი კაპიტალი		4947738	2694347	515620
საწესდებო კაპიტალი	15	5024328	3264734	1320367
დაუფარავი ზარალი	15	-76591	-570387	-804747
გადაფასების რეზერვი		0	0	0
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		6847758	5675550	6113720

დირექტორი: ვლადიმერ პატარიძე

ხელმოწერა:



შპს ბანი 13

საიდენტიფიკაციო კოდი: 404980213

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს

საანგარიშგებო ვადუტა: დარი

	შენიშვნა	2019	2018
შემოსავალი	4	9028192	9835571
რეაღიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(6058096)	(7917350)
საერთო მოგება		2970096	1918221
სხვა შემოსავალი		0	0
მიწოდების ხარჯები		0	0
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(3493273)	(1375215)
სხვა ხარჯები		0	0
საოპერაციო მოგება		(523177)	543006

მოგება/ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან		42450	346550
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(337897)	(871906)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	5	130538	203871
მოგება დაბეგვრამდე		(688087)	221521

მოგების გადასახადის ხარჯი		(3265)	(4187)
მიმდინარე წლის მოგება		(691352)	217334

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი		0	0
სხვა		0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		(691352)	217334

კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		2694057	515743
ახალი აქციების გამოშვება		1759594	1944367
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		494086	233947
კაპიტალის სხვა ცვლილებები		0	0
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	15	4947737	2694057

დირექტორი: ვლადიმერ პატარიძე

ხელმოწერა:

